ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 16

ქ. თბილისი

04.05.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA - Georgia) „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის №126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი;

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ღონე ქვეყნისა

თამარ ადეიშვილი - დირექტორი.

2. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ლალი სადლაძე -დირექტორი;

ნათია ჟღენტი - დირექტორის მოადგილე;

ნესტან სვანიძე- ლევიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

3. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმი

ისმაილ ოზქანი - დირექტორი;

ქეთევან ჭანტურია - დირექტორის მოადგილე;

სალომე ოსეფაშვილი - იურისტი.

4. შპს ცოდნა

მარინა ნადირაძე - დირექტორი;

რევაზ ჯანჯღავა -ტექნიკური მენეჯერი.

5. ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია

ნატო ზარნაძე -პროფესიული განყოფილების უფროსი;

თეა მელაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ლიანა კობესაშვილი;

ირმა მეგრელიძე;

მაკა ნადარეიშვილი;

ქეთევან რეხვიაშვილი;

დავით ჭეიშვილი;

სერგო დურგლიშვილი;

დავით ჭეიშვილი;

თამარ ამზაშვილი;

მიხეილ მინდაძე;

ნინო ბალანჩივაძე.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:25 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს ღონე ქვეყნისა ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებეული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებეული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ცოდნაში განხორციელებეული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ღონე ქვეყნისა ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მაკა ნადარეიშვილმა და ქეთევან რეხვიაშვილმა, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

1.1 **საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით** ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე ახორციელებდა სწავლებას. ფუნქციონირებდა 1 - დაწყებითი კლასების საგნობრივი კათედრა. კათედრის ფუნქცია შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივი კათედრების ფუნქციებს.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული იყო განმსაზღვრელი შეფასების ცხრილი, რომელიც ეფუძნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებას (ბრძანება N3 "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 4.7 სტუდენტის მიღწევის შეფასება, შეფასების სისტემა). შეფასების ეს სისტემა განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლისათვის და არ შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შეფასების სისტემას (ე.ს.გ თავი IV, მუხლი 16 განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება).
ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სასწავლო გეგმის დოკუმენტის შეფასების სისტემის ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გამო შეცდომით იყო მითითებული აღნიშნული ცხრილი, ხოლო რეალურად სკოლის მიერ გამოყენებული შეფასების სისტემა სრულიად ეფუძნებოდა ეროვნულ

სასწავლო გეგმაში მოცემულ შეფასების სისტემას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, გაესწორებინა აღნიშნული ხარვეზი. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და შესაბამისი ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ექსპერტების განმარტებით, ვიზიტის დროს მათ შეისწავლეს სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლის საათობრივი ბადის მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად იყო გათვალისწინებული ყველა საგნის შესწავლა. ინფორმატიკასა და მათემატიკას, პირველ კლასში დამატებული ჰქონდა 1 საგაკვეთილო საათი, შესაბამისად ინფორმატიკა ისწავლებოდა კვირაში ორი საათი ორივე სემესტრის განმავლობაში, ხოლო მათემატიკა ორივე სემესტრში - კვირაში 5 საათი. დაწესებულება მისიიდან გამომდინარე მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ჭადრაკში (სავალდებულო), ასევე სთავაზობდა სხვადასხვა წრეს: რუსული ენის წრე, საუბრები რელიგიაზე, ბიბლიოთეკის საათი, აზროვნების გაკვეთილი, გამოყენებითი ფიზიკისა და პროგრამირების წრე.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში იყო მხოლოდ დაწყებითი საფეხური, სკოლას ჰქონდა ფიზიკის ლაბორატორია, სკოლა თანამშრომლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პროექტების სახით.

საბჭოს წევრმა, ქ-ნ-მა ქეთევან აბულაძემ ჰკითხა სკოლის დირექტორს, რას გულისხმობდა გამოყენებითი ფიზიკის წრე და რამდენად შეესაბამებოდა მოსწავლეთა ასაკს?

სკოლის დირექტორმა, ქ-ნ თამარ ადეიშვილიმა უპასუხა, რომ ეს არის მეხუთე- მეექვსე კლასელებისათვის განკუთვნილი წრე, სადაც მოსწავლეები ატარებენს სხვადასხვა აქტივობებს, მაგალითად, აწყობენ რობოტებს, რომლის საშუალებითაც ზომავენ შენობებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაცია პერმანენტულად ესწრებოდა საგაკვეთლო პროცესს, აფასებდა მასწავლებელს შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ აძლევდა კონკრეტულ რეკომედაციას. გარდა ამისა, სკოლას ჰქონდა ურთიერთობა საერთაშორისო ცენტრთან PUM (ჰოლანდიელი ექსპერტების ასოცოაცია), რომელიც დაწესებულებას სთავაზობდა დახმარებას და თანამშრომლობას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, PUM-ის წარმომადგენელი ადგილზე გაეცნო სასწავლო პროცესს, მოსწავლეებს, მასწავლებლებს და შემდეგ გააკეთა სკოლის მუშაობის ანალიზი, გამოყო ძლიერი და სუსტი მხარეები და რისკები. გადმოუგზავნა სკოლის ადმინისტრაციას და შესთავაზა მომავალი თანამშორმლობა.

პროგრამულ ნაწილში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

1.2 **მატერიალურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: სკოლას ქონდა ორ სართულიანი ლამაზი შენობა, სადაც შერწყმული იყო კლასიკური და თანამედროვე სტილი.

ა) შპს ღონე ქვეყნისა ფუნქციონირებდა ქ. ქუთაისში უზნაძის ქუჩა N26 / რომევიჩის N 2-ში. მდებარე ორსართულიან შენობაში. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და იჯარის ხელშეკრულებით შპს "პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტიდან" შპს "ღონე ქვეყნის"-სთვის იჯარით გადაცემული ჰქონდა შენობა-ნაგებობება 6 წლის ვადით.

ბ) დაწესებულებას ჰქონდა 6 საკლასო ოთახი - თითო საკლასო ოთხარი აღჭურვილი იყო 14 ინდივიდუალური მერხითა და საკმით, გარდა ამისა, ბუნებისა და ინგლისურის თითო-თითო კაბინეტი. სკოლას საერთო ჯამში ჰქონდა 97 ერთადგილიანი მერხი და სკამი.

საბჭოს წევრი თამარ კაპანაძე დაინტერესდა კომპიუტერების რაოდენობით. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის 11 კომპიუტერი.

გ) სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი, აღჭურვილი კალათბურთის ორი ფარით, ერთი ჩოგბურთის მაგიდითა და ჩოგნებით, კალათბურთის და ფეხბურთის ბურთებითა და ჭადრაკის დაფებით.

1.3. **ადამიანურ რესურსთან მიმართებით** ექსპერტმა ქეთევან რეხვიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში მუშაობდა 13 მასწავლებელი, აქედან 1 უფროსი, 10 პრაქტიკოსი, ორი პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სამივე სტანდარტს. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო

გარემოს შექმნა შეეძლო 84 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ღონე ქვეყნისას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 84-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ღონე ქვეყნისას (ს/კ:412683546) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 84-ით.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მიმართა შუამდგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრის, მაია ჩიხლაძის, თხოვნით განხილულიყო მეორე საკითხად.

ავტორიზაციის საბჭო ერთხმად დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას. შესაბამისად, საბჭომ მეორე საკითხად განიხილა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

2. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლიანა კობესაშვილმა და ირმა მეგრელიძემ, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები.

აღინიშნა, რომ დაწესებულების დასახელება დღევანდელი მდგომარეობით იყო შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია, თუმცა მანამდე დაწესებულების სახელწოდებები იყო: „იეპ-სქული", შპს „ლიცეუმი-პროფესიული კოლეჯი", შპს „აკადემია ლიბერთი-პროფ". საიდენტიფიკაციო კოდი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე იყო ს/კ 202065068. დაწესებულება მდებარეობდა თბილისში, ზაზიაშვილის ქ. N1-ში მდებარე ექვსსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე.

ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამის დამატების მოტივაციაზე. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის დამატების ძირითადი არგუმენტაცია იყო: ა) მოდულური პროგრამების, როგორც ბაზრის კვლევის შედეგად შემუშავებული პროდუქტის, მიმზიდველობა; ბ) დაწესებულების ბაზაზე არსებული ადამიანური რესურსი და გ) დასაქმების ბაზარზე ბანკის მოლარე-ოპერატორებზე არსებული მზარდი მოთხოვნა.

ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შპს ,,ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" დირექტორის 2016წ. 20 ივნისის № 2/ს -47-ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ბანკის მოლარე ოპერატორის მესამე საფეხურის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. წარმოდგენილი მოდულური პროფესიული პროგრამის მოცულობა იყო 98 კრედიტი, ხოლო სწავლის ხანგრძლივობა - 84 სასწავლო კვირა. არჩევითი მოდულები აღებული იყო ბუღალტერ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან და მათი მოცულობა შეადგენდა 15 კრედიტს. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებზე, მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე.

პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით ექსპერტმა ლია კობესაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტი ჯერ საწარმოო პრაქტიკას გადიოდა, ხოლო შემდეგ ახორციელებდა პრაქტიკულ პროექტს. საწარმოო პრაქტიკის კალენდარული ხანგრძლივობა 5 კვირა იყო. მოდულის განხორციელება ხდებოდა პრაქტიკის ობიექტზე - მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ნოვა კრედიტ"-ში. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ ნოვა კრედიტთან" გაფორმებული იყო ხელშეკრულება.
მოდულში ,,საწარმოო პრაქტიკა" დაწესებულებას მოდულის განმახორციებელ პირად მითითებული ჰყავდა ერთი პროფესიული მასწავლებელი და ერთი წარმომადგენელი საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან. აღნიშნულ პიროვნებაზე პირადი საქმე და ხელშეკრულება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ მემორანდუმის მიხედვით აღნიშნულ პიროვნებას ბრძანებით განსაზღვრავდა საწარმოო პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელი. ვიზიტის პერიოდში შემოწმებული იქნა საწარმოო პრაქტიკის ბაზა ,,ნოვა კრედიტი", რომელიც მდებარეობდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 55 ა-ში. ორგანიზაციის დირექტორმა მელორ ასათიანმა სრული მზაობა გამოხატა თავის ბაზებზე (თბილისში, რუსთავსა და ლილოში) მიიღოს ჯამში 15 პროფესიული სტუდენტი, რომლებსაც გადაანაწილებდა სხვადასხვა სპეციალისტებთან და თავად გაუწევდა მონიტორინგს.

ექსპერტის თქმით საგანამანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნები ძირითადად დაკმაყოფილებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრს მაია ჩიხლაძეს. მან განაცხადა რომ გაუგებარი იყო რას ნიშნავდა ჩანაწერი „სტანდარტი ძირითადად დაკმაყოფილებულია". აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო საქმის მასალებს და არსებობდა ბევრი უზუსტობები და შეუსაბამობები, რაც საბჭოს უნდა გაეთვალისწინებინა. მაგალითად: დოკუმენტებში ჩარჩენილი იყო ძველი სახელწოდება, საათები არასრულყოფილად იყო გაანგარიშებული, 15 პროფესიული მასწავლებელი ყავდათ 4 პროფესიულ პროგრამაზე, ანუ არ იყო შესაბამისი ადამიანური რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოხდა გამოცხადებული პროფესიული პროგრამების გადარჩევა, კბილის ტექნიკოსი და ტუროპერატორი აღარ ხორციელდებოდა, დანარჩენი პროგრამები მილევად რეჟიშმი აგრძელებდნენ ფუნქციონირებას. რაც შეეხებოდა დოკუმენტაციაში არსებულ უზუსტობებს, ყველაფერი ჩასწორებული იყო ვიზიტისა და მის შემდგომ პერიოდში. ჩასწორდა საათობრივი დატვირთვებიც. დაწესეულებაში ამ ეტაპზე ირიცხებოდა 130 პროფესიული სტუდენტი და მათ ემსახურებოდა 15 პროფესიული მასწავლებელი. თანაფარდობა სტუდენტისა და მასწავლებლისა იყო დაახლოებით 9 პროფესიული სტუდენტი 1 პროფესიულ მასწავლებელზე. ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამის დამატების შემთხვევაში ზემოაღნიშნული თანაფარდობა არ გასცდებოდა სტანდარტით განსაზღვრულ ნორმას.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რა პრობლემა ექმნებოდა კონკრეტულად ამ პროგრამის განხორციელებას.

მაია ჩიხლაძის განმარტებით მნიშვნელოვანია პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, რაც ასევე არ იყო განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი აძლევდნენ თეორიულ ცოდნას და პრქტიკის ობიექტთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი ჰქონდათ, რომ ორგანიზაცია შემდგომ გამოყოფდა პირს, რომელთანაც დაიდებოდა შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულებას ბანკის მოლარე-ოპერატორის პროგრამისთვის განსაზღვრული ჰქონდა 7 პროფესიული მასწავლებელი, პროგრამისა და პრაქტიკის ხელმძღვანელი.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა ლიანა კობესაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ქონდა 11 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში იყო 152 ერთადგილიანი მერხი და სკამი. გარდა ამისა, დაწესებულებას დასაწყობებული ქონდა 15 ერთადგილიანი მერხი და სკამი. ჩუქების დოკუმენტაციით დაწესებულებას უდასტურდება 253 მერხისა და 240 სკამის არსებობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა დღის პირველ ნახევარში, ხოლო პროფესიული პროგრამების განხორციელება მიმდინრეობდა დღის მეორე ნახევარში, 15:10 სთ-დან.

ბანკის მოლარე-ოპერატორის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰქონდა A გარემო, ფართით 23,25 კვ.მ. 14 ერთადგილიანი მერხით და სკამით, 2 დაფით, მასწავლებლის მაგიდით, მულტიფუნქციური პრინტერით, მონიტორით და შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერით აღჭურვილი. ხოლო B გარემოსთვის გამოყოფილი იყო 22,74 კვ.მ საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილი იყო მოთხოვნის შესაბამისი პარამეტრების მქონე 10 კომპიუტერით პროფესიული სტუდენტებისათვის და 1 კომპიუტერით მასწავლებლისთვის, კომბაინით, პროექტორით, ფლეშმეხსიერებით.

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფართი იყო 11,15 კვ.მ, ბიბლიოთეკაში იყო 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი.

დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა ფულის სათვლელი (Currency Counter Magner 35-2003) აპარატი, ფულის ამოსაცნობი აპარატი (RIBAO Currency Detectir SLD-16M), სალაროს აპარატი, 13 კალკულატორი, შტემპი, ბეჭედი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აღჭურვილობა შეესაბამებოდა მოდულებით მოთხოვნილი აღჭურვილობის ჩამონათვალს.

საბჭომ იმსჯელა დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამის დამატებისათვის საჭირო პროგრამული ნაწილის, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 10 პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები, რადგან დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გააჩნდა 10 პერსონალური კომპიუტერი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიისათვის ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და ადგილების ზღვრული რაოდენობის 10-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1] მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 202065068) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა:

პროგრამის დასახელება	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**	**განათლების საფეხური**	**კრედიტების რაოდენობა**	**სწავლების ენა**	**მოდულური პროგრამის შემთხვევაში-სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე**	**პროგრამის განხორციელების მისამართი**
ბანკის მოლარე-ოპერატორი	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	მესამე	98 კრედიტი	ქართული ენა	10	ქ. თბილისი, ზაზიაშვილი ქ. №1

3. შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგიეს ექსპერტებმა მიხეილ მინდაძემ და ნინო ბალანჩივაძემ.

ექსპერტმა, მიხეილ მინდაძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა თებერვლის თვეში და ძირითადი ხარვეზები იყო სასწავლო პროცესთან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ იკითხა, შეისწავლეს თუ არა ექსპერტებმა, სკოლის მიერ, ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი მასალა. კითხვაზე მიხეილ მინდაძემ უპასუხა, რომ სკოლამ ნაწილი ხარვეზებისა მონიტორინგის ვიზიტის დროსვე გაასწორა, ხოლო სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი მასალა ექსპერტებს გადაეგზავნათ ელექტრონულად, საიდაც ირკვეოდა, რომ გარკვეული ხარვეზები გამოსწორებული იყო.

ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ ინტერვიურების დროს გაირკვა, რომ სკოლა-ლიცეუმში 2016/2017 სასწავლო წლამდე საბუნებისმეტყველო და მათემატიკის გაკვეთილები ტარდებოდა ინგლისურ ენაზე, ხოლო 2016/2017 სასწავლო წელს სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ყველა საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე. დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა სკოლა-ლიცეუმის განკარგულება სასწავლო პროცესის ქართულ ენაზე წარმართვის შესახებ (დირექტორის ბრძანება N5/138, 30.12.2015). სწავლება მიმდინარეობდა გრიფირებული სახელმძღვანელოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა-ლიცეუმში ინგლისური ისწავლება I კლასიდან, რუსული და თურქული კი - III კლასიდან. ეროვნული სასწავლო გეგმაში (თავი IX. მუხლი 49) ცალსახად

იყო აღნიშნული: ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულენოვანი სკოლებისთვის განკუთვნილი დაწყებითი საფეხურის საათობრივი ბადის ცხრილის განმარტებების მიხედვით მეორე უცხოური ენის სწავლება 2014-2015 სასწავლო წლიდან დაიწყება V კლასში.

დაწესებულების დირექტორმა ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლა-ლიცეუმის ადმინისტრაციამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თხოვნით, გამონაკლისის სახით III კლასიდან განხორციელდეს მეორე და მესამე უცხოური ენების (რუსულისა და თურქულის) სწავლება, რაზეც მათ მიიღეს თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, სხვა რა პრობლემური საკითხები იყო პროგრამულ ნაწილში, ინგლისურად ხომ არ მიმდინარეობდა სწავლება?

ექსპერტმა, ნინო ბალანჩვაძემ უპასუხა, რომ სასწავლებელში შაბათ დღეს, საოლიმპიადო ჯგუფებში მათემატიკა ისწავლებოდა ინგლისურად. ამ შემთხვევაშიც სახელმძღვანელოების ქართული და ინგლისური ვერსიები გრიფირებული იყო.

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არ იყო განსაზღვრული სპორტის რომელ სახეობებს სთავაზობდა სკოლა მოსწავლეებს. ეროვნული სასწავლო გეგმის (თავი LIII საგნობრივი პროგრამა სპორტში) სპორტის სწავლების სტანდარტით კი სწავლების ორგანიზებაში ცალსახად არის აღნიშნული, რომ „საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლა ირჩევს მინიმუმ სამს (3), რაც შესაძლებლობას მისცემს გოგონებსა და ბიჭებს თანაბრად დაეუფლონ გუნდურ ან ინდივიდუალურ სპორტის სახეობებს". სკოლის საათობრივ ბადეში ფიქსირდებოდა სპორტის გაკვეთილები. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საბაზო - საშუალო საფეხურზე სკოლა ატარებდა: კალათბურთს, ფეხბურთსა და ფრენბურთს, ჭადრაკს, მაგიდის ჩოგბურთს.

სკოლის ვიზუალურად დათვალიერებისას თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სკოლას ჰქონდა ზემოაღნიშნული სპორტის სახეობების გაკვეთილების ჩატარების მატერიალური ბაზა (ღია მოედანი, სპორტული ინვენტარი). აქედან გამომდინარე, სკოლამ დირექტორის ბრძანებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში შეიტანა ცვლილება სპორტის სახეობების შერჩევასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა აღინიშნოს, რომ 2016/2017 ს.წ. გეგმის გაცნობით გაურკვეველი იყო სკოლაში წლიური გამოცდა ტარდებოდა თუ არა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლაში გამოცდები არ

ტარდებოდა, თუმცა მოსწავლეებთან ინტერვიურებითა და სკოლის ფეისბუქგვერდის (https://www.facebook.com/nns.ge/) დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში სემესტრული გამოცდებიც ტარდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სემესტრის ბოლოს ტარდებოდა რეიტინგული შემაჯამებელი წერები და არა გამოცდები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა-ლიცეუმის დირექტორმა გამოსცა განკარგულება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, რომელშიც ცალსახად არის აღნიშნული, რომ სკოლა გამოცდებს არ ატარებს.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა მიხეილ მინდაძემ ხარვეზად დაასახელა ის რომ 4 პედაგოგს არ ჰქონდა შესაბამისი სტატუსი.

ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ეს პედაგოგები დარეგისტრირებულები იყვნენ გამოცდის ჩასაბარებლად, რის შემდეგაც ჩაერთვებოდნენ სქემაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასკოლო სასაწავლო გეგმის ცვლილებებთან ერთად სკოლაში მონიტორინგის ვიზიტის შედეგად გამოსწორდა უსაფრთხოების დაცვის ფორმები, განახლდა საევაკუაციო გეგმა.

მსჯელობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (საიდენტიფიკაციო კოდი:212917174) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა, მან აღწერა მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და აღნიშნა, რომ სკოლის დაარსებიდან (2013 წელი), 2017 წლის 10 იანვრამდე სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ორ სექტორზე (აზერბაიჯანული და ქართული). დაწესებულების დირექტორმა ვერ წარმოადგინა აზერბაიჯანული სექტორის შექმნის იურიდიული საფუძველი, თუმცა წარმოადგინა „აზერბაიჯანული სექტორის გაუქმების შესახებ" სკოლა-ლიცეუმის დირექტორის 2017 წლის 10 იანვრის N172 ბრძანება, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანულენოვანი სექტორიიდან ქართულ სექტორზე გადასვლის მსურველი VI კლასის 8 მოსწავლე შეუერთდა ქართული სექტორის VI კლასს. ამავე ბრძანების მიხედვით შეიქმნა ისგ-ს ჯგუფი, რომელსაც დაევალა ამ ბავშვებისთვის, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი აზერბაიჯანული სექტორის საათობრივი ბადე ვერ პასუხობდა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას არ აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. მაგალითად, გადამოწმდა წლევანდელი VI კლასის პირველი სემესტრის და შარშანდელი VI კლასის საათობრივი ბადე. აღმოჩნდა, რომ დარღვეულია V კლასში სავალდებულო კვირეული საათების რაოდენობა და ნაცვლად 31-33-ისა არის 28. ქართულს მოკლებული აქვს 2 საათი და არ არის გათვალისწინებული მეორე უცხოური ენის, რუსულის საათები. ეს საათები ასახულია სავალდებულო დამატებით მომსახურებაში, რაც არასწორი იყო.

საბჭოს წევრმა რეზო აფხაზავამ იკითხა, მისცა თუ არა თანხმობა 2012 წლის ავტორიზაციის საბჭომ სკოლას ჰქონოდა აზერბაიჯანული სექტორი.

სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან ჭანტურიამ უპასუხა, რომ 2012 წელს, საბჭოს სხდომაზე არაფერი არ უთქვამთ კონკრეტულად აზერბაიჯანულ სექტორზე, თუმცა, სკოლის განაცხადში მითითებული იყო ორივე სექტორის არსებობა, ვინაიდან მიიღეს ავტორიზაცია, სკოლა თვლიდა, რომ უფლება ჰქონდა აზერბაიჯანული სექტორის განხორციელებისა.

ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა დასძინა, რომ აზერბაიჯანული სექტორიდან სკოლის დირექტორის ბრძანებით 8 ბავშვი იყო გადასული ქართულ სექტორზე, ამის გამო ჩაუღრმავდნენ საკითხს და მიაკვლიეს, რომ 2017 წლის 10 იანვარს იყო გაუქმებული აზერბაიჯანული სექტორი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს იკითხეს, თუ როგორ მოხდა აზერბაიჯანული სექტორიდან მოსწავლეების გადაყვანა, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ქართულ სექტორზე გადაყვანა ტესტირების საფუძველზე მოხდა.

საბჭოს წევრმა, თამარ ფხალაძემ იკითხა, თუ რა მიზეზით გააუქმეს იანვარში აზერბაიჯანული სექტორი.

სკოლის იურისტმა უპასუხა, რომ მშობლებმა მოითხოვეს ქართულ სექტორზე ბავშვების გადაყვანა, ამის საფუძველზე მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტესტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ნახეს თუ არა ექსპერტებმა ტესტები, რის საფუძველზეც მოხდა მოსწავლეთა გადაყვანა ქართულ სექტორზე?

ექსპერტებმა თქვეს, რომ ტესტირებისა და გასაუბრების მასალები არ უნახავთ, ნახეს მხოლოდ ბრძანება.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ იკითხა, რამდენი ბავშვი იყო სკოლაში და რა ეროვნებისა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ სკოლაში იყო 144 მოსწავლე, ყველა მოსწავლე ეროვნებით აზერბაიჯანელი იყო, თუმცა ბავშვებიცა და მშობლებიც კარგად საუბრობენ ქართულად.

ექსპერტმა დავით ჭიშვილმა საუბარი განაგრძო მონიტორინგის დასკვნაში არსებულ საკითხებზე, მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა იყო პატარა, 19 კვ.მ, სადაც იყო გრიფირებული სახელმღვანელები, რომელთაგან ქართული სახელმძღვანელოები შესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. აზერბაჯანული სახელმძღანელოების გრიფირების საკითხი ექსპერტებმა ვერ დაადგინეს, ვინაიდან აზერბაიჯანული სექტორის სახელძღვანელოების ნუსხა სკოლის სასწავლო გეგმას

საერთოდ არ ჰქონდა, ამიტომ ვერ მოხერხდა სკოლის სასწავლო გეგმით არჩეული სახელმძღვანელოების შედარება ბიბლიოთეკაში არსებულ სახელმძღვანელოებთან. ასევე არ ჰქონდათ სპორტული დარბაზი, ჰქონდათ მოასფალტებული მოედანი და უამინდობისას იყენებდენ სააქტო დარბაზს. ასევე აღინიშნა, რომ სკოლის ვებგვერდი ნაწილობრივ ასრულებდა ინფორმირების ფუნქციას, იდო ძველი წესდება, ძველი სახელწოდებით და ინფორმაციით. ამასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო. საბჭოს მსვლელობისას საბჭოს რამდენიმე წევრი შევიდა სკოლის გვერდზე და დაადაატურეს, რომ ხარვეზი გამოსწორებული იყო.

ექსპერტ დავით ჭეიშვილის თქმით, სამეთვალყურეო კამერები საკმარისზე მეტი იყო, თუმცა არასწორად იყო დამონტაჟებული. ვიზუალურად კამერები გავდა ავტორიზაციის სტანდარტში მითითითებულ მოთხოვნებს კამერების შესახებ, მაგრამ სკოლამ ვერ წარმოადგინა კამერების პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე ხარვეზები იყო საქმისწარმოების კუთხითაც, არ ხდებოდა შემოსულ დოკმენტებზე (კორესპოდნციებზე) რეგისტრაციის ნომრების მითითება ქვედა მარჯვენა კუთხეში; შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა მოსწავლეთა თერთმეტი პირადი საქმე, რომელთა შემოწმებამაც აჩვენა, რომ პირველი კლასის მოსწავლეებს არ ქონდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს #113/ნ ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის პირადი საქმის შესაბამისი პირადი საქმე; მოსწავლეთა პირად საქმეებში არა იყო განთავსებული ნოტარიულად დამოწმებული დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება და არასრულწლოვანის რეგისტრაციის მოწმობა; აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს #675/ნ ბრძანებასთან. მაგალითად, მოსწავლის პირადი საქმიდან არ ჩანდა სად მიიღო მოსწავლემ პირველ კლასში განათლება და დაძლია, თუ არა საერთოდ ამ კლასის პროგრამა.

პედაგოგებს რაც შეეხებოდა, ექსპერტის განმარტებით მხოლოდ სპორტის მასწავლებელი არ იყო სქემაში ჩართული, თუმცა იგი დარეგისტრირებული იყო გამოცდაზე.

საბჭოს წევრმა ქეთევან აბულაძემ ექსპერტს ჰკითხა თუ რა ეროვნების მასწავლებლები ჰყავდათ დაწესებულებაში და როგორ ფლობდნენ ქართულ ენას?

ექსპერტმა უპასუხა, რომ მასწავლებლები ქართველები იყვნენ, ისინი თბილისიდან დადიოდნენ სკოლის მიერ დანიშნული მიკროავტობუსით.

საბჭოს წევრმა, თამარ კაპანაძემ იკითხა, მოსწავლეთა ეროვნების შესახებ. სკოლის იურისტმა დააფიქსირა, რომ ყავთ სხვა ქვეყნის მოქალაქეებიც.

აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ იკითხა თუ რა ენაზე ამყარებდნენ, სკოლის წარმომადგენლები, კომუნიკაციას სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან (მშობლებთან)?

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავს თარჯიმანი.

საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ საკითხში სრულად გარკვევის მიზნით საბჭომ შეისწავლა ავტორიზაციის ვიზიტისას შედგენილი დასკვნა და გაეცნო ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმს. გაირკვა რომ აზერბაიჯანული სექტორის სასწავლო გეგმები თუ შესაბამისობაში იქნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მაშინ ეს სექტორი სწორად იქნებოდა გახსნილი. ვინაიდან სექტორის არსებობა არ იყო დარღვევა, შესაბამისად, მოსწავლეთა გადაყვანა ამ შემთხვევაში იყო სხვაგვარი ქეისი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის დასკვნაში ძირითადად იგივე ხარვეზები იქნა აღწერილი, რაც ავტორიზაციის მიღების პერიოდში ჰქონდა სკოლას. ამიტომ, სკოლას მიეცა რეკომენდაცია დროულად აღმოფხვრას ხარვეზები და აცნობოს ცენტრს.

დიკუსიის შემდგომ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 4

საბჭოს წევრები თამარ კაპანაძემ და არჩილ სუმბაძე მომხრენი იყვნენ სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების, ხოლო ირინა აბულაძე, თამარ ფხალაძე, რევაზ აფხაზავა და ქეთევან აბულაძე წინააღმდეგნი.

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის (საიდენტიფიკაციო კოდი: 434159091) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. **შპს ცოდნაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა, მან აღწერა მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტი რთულად დაიწყო, დაწესებულებაში არ დახვდათ დირექტორი, სკოლის ვერც ერთმა თანამშრომელმა პასუხი ვერ გასცა სკოლის მიმდინარე საკითხებზე, ამიტომ ექსპერტებს 3-4 საათი მოუწიათ ლოდინი ვიდრე დირექტორი სკოლაში მივიდოდა. ვიზიტის დაწყების შემდეგ ექსპერტებმა ნახეს, რომ მეორე სემესტრში, ზოგიერთ საგანში ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოები, ასევე, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი არ იყო დასრულებული ზოგიერთ კლასში და ზოგიერთ საგანში. საკლასო ჟურნალში გაცდენები არ იყო დაფიქსირებული, ასევე იყო შემთხვევები, როცა ჩატარებული იყო შემაჯამებელი სამუშაო, მაგრამ არ იყო ჟურნალში დაფიქსირებული.

სკოლის დირექტორმა ბოდიში მოიხადა მონიტორინგის ვიზიტის შეფერხებისათვის, რაც შეეხება მოუწესრიგებელ ჟურნალებს, დირექტორმა აღნიშნა, რომ ზოგჯერ მასწავლებლები ჯერ აანალიზებენ და მერე გადააქვთ შედეგები ჟურნალში და ეს იყო მიზეზი ჟურნალების მოუწესრიგებლობისა.

მატერიალურ ნაწილში ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ცალკ-ცალკე არ ჰქონდა ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები, იქ განთავსებული ინვენტარის (ხელსაწყოების) შესყიდვის და ფლობის დამადასტურებელი დოკმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი, რის გამოც ვერ მოხერხდა არსებული ხელსაწყოების ჩამონათვალის შედარება რეკომენდირებულ ხელსაწყოების ჩამონათვალთან.

საკლასო ოთახებში დამონტაჟებული იყო ავტომატური ელექტრო ამომრთველები (ავტომატები), რომლებზეც ზამთრის სეზონზე მიერთებული იყო ელექტრო ქურები, ელექტრო ამომრთველები არა იყო უსაფრთხო, ვინაიდან მას არ გააჩნდა დამცავი კარადა ან ხუფი, რითაც ის იზოლირებული იქნებოდა მოსწავლეებისაგან. ასევე, გათბობა ხდებოდა ელექტრო ღუმელებით, რომელთა სიმძავრე საკლასო ოთახებს ვერ გაათბობდა.

ელექტრო ჩამრთველებთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორეს, რისი დამადასტურებელი სურათებიც წარმოადგინეს.

ვიზიტისას არ მუშაობდა ვებგვერდი, ვერ წარმოდგვიდგინეს გადახდის ქვითრებიც. დაწესებულებამ ამ შენიშვნას გასცა პასუხი, რომ ვებგვერდის მუშაობა აღდგენილი იყო.

რაც შეეხებოდა სამეთვალყურეო კამერებს, ექსპერტ დავით ჭეიშვილის განამარტებით ცენტრალურ და დამხმარე შესასვლელთან დამონტაჟებული იყო თითო ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომლებიც არ აკამყოფილებდნენ „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. სკოლის დირექციამ ვიზიტის ბოლო დღეს ცენტრლურ შესასვლელზე დააყენა ორი ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, თუმცა გაუკონტროლებელი დარჩა სკოლის კიდევ ერთი დამხმარე შესასვლელი, რომელზეც უნდა იდგეს ზემოთ ნახსენები ბრძანების შესაბამისი კამერა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რამდენად გამოსწორებადი იყო აღნიშნული ხარვეზები და თუ იყო რა დრო დასჭირდება დაფიქსირებული ხარვეზები გამოსწორებას.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ სანიტარული პირობების გასაუმჯობესებლად ერთი კვირაც საკმარის იქნებოდა, ხოლო შემჯამებელი დავალებების ორგანიზებას, მასწავლებლების მიერ საკლასო ჟურნალში მიმდინარე და შემაჯამებელი სამუშაოების შეფასებების შეტანასა და გაცდენების აღრიცხვას შედარებით მეტი დრო დასჭირდებოდა.

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ შემაჯამებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია ორი კვირის ვადაში ცენტრს აცნობოს ხარვეზების

გამოსწორების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ცოდნაში (საიდენტიფიკაციო კოდი: 238730931) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

მდივანი

თამარ ფხალაძე